სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
15.11.2010 N 148
თბილისი

სტუ-ს 2010 წლის 28 ოქტომბრის №143
ბრძანების ნაწილობრივი ცვლილების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 12 ნოემბრის №342 დადგენილების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ნაწილობრივ შეიცვალოს სტუ-ს 2010 წლის 28 ოქტომბრის №143 ბრძანების მე-4 პუნქტი და იგი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:
   "4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს მიმდინარე წლის 8 ნოემბერს და დასრულდეს 17 ნოემბერს. არჩევნები გაიმართოს რეგისტრაციის დასრულებიდან მე-8 დღეს – 25 ნოემბერს; ფაკულტეტის წარმომადგენლების არჩევნები ჩატარდეს შესაბამის ფაკულტეტებზე, ხოლო ბიბლიოთეკის წარმომადგენლის – აკადემიურ საბჭოში."
2. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი